



გაერთიანებული ერების  
ორგანიზაცია  
გენერალური ასამბლეა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების  
საკითხზე ადამიანის უფლებათა საბჭოს  
სპეციალური მომხსენებლის კატალინა დევანდას-აგილარის  
ანგარიში

ინკლუზიური პოლიტიკა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი  
ადვოკატირების პროექტი

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის





**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია**

**გენერალური ასამბლეა**

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხზე ადამიანის  
უფლებათა საბჭოს**

**სპეციალური მომხსენებლის კატარინა დევანდას-აგიდარის ანგარიში**

**ინკლუზიური პუბლიკა**

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების  
პროექტი**

**კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის**

2016 წელი

შებლუდური შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის მე-6 მუხრის ზოგადი კომენტარის თარგმნა, ბეჭდვა და გავრცელება შესაძლებელი გახდა შებლუდური შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი აღვოკატირების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოორცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

მოცემულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და კოორცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოსაზრებებს.



## გენერალური ასამბლეა

გავრცელება: საჯარო აგვისტო, 2016 წ.  
ორიგინალი შესრულებულია ინგლისურ ენაზე

### სამოცდამეთერთმეტე სესია

საგარაუდო დღის წესრიგის 69-ე (ბ) საკითხი\*

**ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და დაცვა:**

ადამიანის უფლებათა საკითხები, მათ შორის

ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური

თავისუფლებების ეფექტური დაცვის

გაუმჯობესების ალტერნატიული მიდგომები

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები**

**გენერალური მდივნის განცხადება**

გენერალურ მდივანს აქვს პატივი მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხზე ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის გადაცემა, რომელიც წარდგენილია ადამიანის უფლებათა საბჭოს N26/20 რეზოლუციის შესაბამისად.

## სარჩევი

I. შესავალი.....	4
II. შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინკლუზიური პოლიტიკის საჭიროება.....	5
A. ინკლუზიური განვითარების უზრუნველყოფა ყველასთვის.....	5
B. ინკლუზიური პოლიტიკის მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა.....	7
C. შებენიანი შესაძლებლობის ინკლუზიური პოლიტიკის ეკონომიკური მხარე.....	8
III. შებენიანი შესაძლებლობის ინკლუზიური პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები	11
A. დისკრიმინაციის აკრძალვა.....	12
B. ხელმისაწვდომობა.....	16
B. დამხმარე ტექნოლოგიები და მხარდაჭერის სერვისები.....	21
IV. შებენიანი შესაძლებლობის ინკლუზიური პოლიტიკის ჩარჩოს დანერგვა.....	26
A. ზოგადი საკითხები.....	26
B. მენისტრინგი.....	28
C. მონაწილეობა.....	29
D. მონიტორინგი.....	30
E. ბიუჯეტის შემუშავება.....	32
F. მონაცემთა შეგროვება.....	33
G. მრავალფეროვნების ხელშეწყობა.....	34
V. დასკვნა და რეკომენდაციები.....	34

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხზე ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის კატალინა დევანდას-აგილარის ანგარიში**

*შინაარსი*

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხზე ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის კატალინა დევანდას-აგილარის აღნიშნული ანგარიში ეხება შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიურ პოლიტიკას. ანგარიში წარედგინა გენერალურ ასამბლეას ადამიანის უფლებათა საბჭოს N26/20 რეზოლუციის შესაბამისად.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უთანასწორობის გამოცდილების გათვალისწინებით, სპეციალური მომხსენებელი მიზნად ისახავს სახელმწიფოებს და სხვა აქტორებს მიაწოდოს გზამკვლევი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიმუშაონ ინკლუზიური პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციასთან და რომელიც ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. აღნიშნული პოლიტიკის ეფექტურობისთვის, რომელიც უნდა მოიცავდეს დისკრიმინაციის აკრძალვის, ხელმისაწვდომობისა და მხარდაჭერის სერვისების არსებობის მოთხოვნებს, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ პოლიტიკის მკაფიო ჩარჩო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის უზრუნველსაყოფად საზოგადოების ყველა სექტორში.

## I. შესავალი

1. ადამიანის უფლებათა საბჭომ რეზოლუციით N26/20 სთხოვა ადამიანის უფლებათა საბჭოს გაეროს სპეციალურ მომხსენებელს გენერალური ასამბლეისთვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა.
2. აღნიშნულ ანგარიშში სპეციალური მომხსენებელი წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიური პოლიტიკის მიდგომებს, რაც არის კონვენციის იმპლემენტაციის და მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგის წინაპირობა. სპეციალური მომხსენებელი განმარტავს ამ ორი ინსტრუმენტის კომპლემენტარობისა და ერთდროულად განხორციელების შესაძლებლობას, რომლებსაც, ინკლუზიური პოლიტიკის პირობებში, ეფექტურად შეუძლიათ შეუწყონ ხელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სიღარიბის და გარიყულობის წინააღმდეგ ბრძოლას.
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინკლუზიური პოლიტიკა, რომელიც ანგარიშში არის წარმოდგენილი, ეყრდნობა სპეციალური მომხსენებლის წინა რეკომენდაციებს, რომლებიც ასახულია მის ანგარიშებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესახებ (A/HRC/31/62) და ინკლუზიური სოციალური დაცვის სისტემის საჭიროების შესახებ ( A/70/297), რათა ამით შესაძლებლობა მიეცეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მონაწილეობა მიიღონ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. ამ რეკომენდაციების მიზანია ისეთი საზოგადოების და ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ახდენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ასევე საზოგადოების ყველა სხვა წევრის, ინტეგრირებას თანასწორობის საფუძველზე, რაც არის ადამიანთა მრავალფეროვნების ნაწილი.
4. ანგარიშის მომზადების დროს სპეციალურმა მომხსენებელმა გააანალიზა 90 პასუხი კითხვარებზე, რომლებიც გაგზავნილი იყო წევრი სახელმწიფოების, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციებისთვის. გამოკვეთილი ტენდენციები ასახულია ტექსტში.

## II. შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინკლუზიური პოლიტიკის საჭიროება

### A. ინკლუზიური განვითარების უზრუნველყოფა ყველასთვის

5. ინკლუზიური განვითარება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ყველა მარგინალიზებულმა და საზოგადოებისგან გარიყულმა ჯგუფმა ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა განვითარების პროცესებში. ბევრი ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით ვერ იღებს სხვადასხვა სარგებელს და ვერ შეაქვს წვლილი განვითარებაში მისი ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების, სიღარიბის, შებენიანი შესაძლებლობის ან სხვა სტატუსის გამო. საზოგადოებისგან მათ გარიყვას შედეგად მოაქვს უთანასწორობის გაღრმავება ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნით: მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 80% ფლობს მსოფლიოში არსებული ქონების მხოლოდ 6%-ს, ხოლო ყველაზე მდიდარ 1 პროცენტს შესაძლოა ჰქონდეს 50%-ზე მეტი სიმდიდრე 2016 წელს.<sup>1</sup> ამარტია სენის ნაშრომის თანახმად, განვითარების მნიშვნელოვანი მიზანი უნდა იყოს უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ყველა ადამიანისთვის, რათა მათ განავითარონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები, როგორც საზოგადოების სრულმა წევრებმა.<sup>2</sup> განვითარების ზომები უნდა იყოს საკმარისად ფართო იმისათვის, რომ მან სარგებელი მოუტანოს ყველა ადამიანს, მისცეს საშუალება ადამიანებს განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები და არჩევანი და, საბოლოოდ, უფრო ინკლუზიური, თანასწორი და მდგრადი საზოგადოებები შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ და დაიცავენ ადამიანის უფლებებს.

6. შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირები მსოფლიოს მასშტაბით განიცდიან მნიშვნელოვან უთანასწორობას და ისინი მეტი ალბათობით იმყოფებიან სიღარიბეში, ან არიან საზოგადოებისგან გარიყული სხვა ფორმით. მათ ნაკლებად აქვთ დასაქმების, განათლების ან საზოგადოებრივი სერვისების მიღების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, ისინი მეტი ალბათობით განიცდიან ძალადობას და ავადდებიან აივ/შიდსით.<sup>3</sup> სმენის არ მქონე, სმენის დაქვეითების მქონე, უსინათლო/სმენის არმქონე, აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანები, ასევე ფსიქოსოციალური ან ინტელექტუალური შებენიანი შესაძლებლობის მქონე ადამიანები, სხვა ჯგუფებთან ერთად, აწყდებიან დამატებით სირთულეებს ძირითადი სერვისების მიღების დროს, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება ან მართლმსაჯულება, რაც გამონვეულია დისკრიმინაციული

<sup>1</sup> [22]. გაეროს განვითარების პროგრამა, Human Development Report 2015.

<sup>2</sup> Amartya Sen, *The Idea of Justice* (London, Allen Lane, 2009).

<sup>3</sup> [22]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი, *World Disability Report* (2011); და Pierre De Beaudrap, Muriel Mac-Seing, and Estelle Pasquier, "Disability and HIV: a systematic review and a meta-analysis of the risk of HIV infection among adults with disabilities in Sub-Saharan Africa", *AIDS Care*, vol. 26, No. 12 (July 2014).



კანონმდებლობით ან პოლიტიკით, სეგრეგირებული გარემოთი ან/და მხარდაჭერის სერვისების უქონლობით.

7. დისკუსია ინკლუზიური განვითარების შესახებ ხშირად არ ითვალისწინებს იმ კონკრეტულ და მრავლის მომცველ ბარიერებს, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან საზოგადოებაში. ეს გულისხმობს ფსიქოლოგიურ ბარიერებს, რომლებიც მათ ხელს უშლის ისარგებლონ საჯარო სივრცეებით, სამუშაოთი და ტრანსპორტით; ინფორმაციის მიღების და კომუნიკაციის ბარიერები (როგორცაა აუდიოვიზუალური ენის თარგმანის არარსებობა, წერილობით ინფორმაცია, ეკრანის წამკითხველი, ბრაილი და გამარტივებული კითხვის ფორმატი); ინსტიტუციური ბარიერები პროგრამების დიზაინში (მაგ. როცა შეზღუდული შესაძლებლობის გამო დახმარების მიღება უკავშირდება მუშაობის შესაძლებლობის არქონას); და დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ბარიერები, რომლებიც იწვევს დისკრიმინაციას ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების და უნარების არასწორ აღქმას.

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით ინკლუზიური პოლიტიკა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რათა მოხდეს ბარიერების აღმოფხვრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად და მხარდაჭერის აღმოჩენისთვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ განვითარების პროცესებში და სარგებელი მიიღონ მისი შედეგებით. ეს ითვალისწინებს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებას საჯარო პოლიტიკასა და პროგრამებში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შესაძლებლობის მიცემას მონაწილეობა მიიღონ მათ შემუშავებაში, დანერგვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინკლუზიური პოლიტიკა მოიცავს პოლიტიკის მთელ რიგ ზომებს, რომლებიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მდგომარეობას, გარემოს, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ და ამ გარემოს გავლენას სხვადასხვა შესაძლო შეზღუდვებზე. სათანადო იმპლემენტაციის შემთხვევაში პოლიტიკას შეუძლია ხელი შეუწყოს იმ ბარიერების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მონაწილეობაში.

9. 2015 წელს მიღებული მდგრადი განვითარების მიზნები, რომელიც რამოდენიმე მითითებას შეიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, სახელმწიფოებისთვის არის განსაკუთრებული შესაძლებლობა მომდევნო 15 წლის მანძილზე ინკლუზიური პოლიტიკის დანერგვისთვის, როდესაც ისინი დაიწყებენ ეროვნული განვითარების გეგმების გადასინჯვას აღნიშნულ მიზნებთან შესაბამისობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საერთაშორისო ვალდებულება „არავინ დავტოვოთ უკან“ და კონსენსუსი იმაზე, რომ ყველა მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს თითოეული ადამიანის სასარგებლოდ,

გაურკვეველია პრაქტიკაში როგორ უნდა შეასრულონ ეს დაპირებები მსოფლიოში სახელმწიფოს წარმომადგენლებმა და პოლიტიკის შემქმნელებმა, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის პირებთან მიმართებით. შესაბამისად, საჭიროა გზამკვლევი იმისათვის, თუ როგორ უნდა მოხდეს ინკლუზიური პოლიტიკის შექმნა და იმპლემენტაცია და იმის უზრუნველყოფა, რომ აღნიშნულ მიზნებს სარგებელი მოჰქონდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

## B. ინკლუზიური პოლიტიკის მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

10. ინკლუზიური განვითარების ეფექტური მიღწევა შეუძლებელია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გარეშე. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, როგორც კონცეპტუალური ჩარჩო, ითვალისწინებს პრაქტიკულ მითითებებს პროგრამებისა და განვითარების პოლიტიკის შექმნის, იმპლემენტაციის, შეფასებისა და მონიტორინგის თაობაზე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით.<sup>4</sup> განვითარებისთვის მიღებულ ზომებში უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპების დაცვა, როგორცაა ადამიანის ღირსების პატივისცემა, დისკრიმინაციის აკრძალვა, მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება. შესაბამისად, განვითარების პროცესში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა მოითხოვს, რომ ინკლუზიური პოლიტიკა ითვალისწინებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

11. შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ასევე საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განვითარების პროცესებში ჩასართავად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია ახდენს პარადიგმის ძირითად ცვლილებას, როგორც ადამიანის უფლებების, ისე განვითარების თვალსაზრისით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. კონვენციის ორმაგი ბუნება განამტკიცებს მიდგომას, რომ ადამიანის უფლებები და განვითარება ერთმანეთთან განუყოფელ კავშირშია. ამ მხრივ კონვენცია არის განვითარებისთვის ღირებული საშუალება, რომელიც ითვალისწინებს ინკლუზიურ პოლიტიკას და პროგრამებს, ინკლუზიურ საერთაშორისო თანამშრომლობას და პოლიტიკის შექმნის დროს მონაწილეობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, პოლიტიკამ უნდა მიატოვოს საქველმოქმედო და სამედიცინო მიდგომები და მიიღოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ, სადაც

<sup>4</sup> იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, "Frequently asked questions on a human rights-based approach to development cooperation" (2006).

შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირები აღიქმებიან, როგორც უფლებების მქონენი და არა როგორც მხოლოდ დაცვის, რეაბილიტაციის ან სოციალური უზრუნველყოფის მიმღებნი. განვითარების პოლიტიკამ არ უნდა დააზიანოს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და არ უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოებისგან მათ გარიყვას. უფრო მეტიც, იმ სტრუქტურული ბარიერების მოშლა, რომლებიც მათ გარიყვას და სიღარიბეს იწვევს, შეუძლებელია შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირდაპირი ჩართულობისა და მონაწილეობის გარეშე. აღნიშნული მოითხოვს მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფოების, განვითარების სააგენტოების და სხვა ორგანიზაციების ამჟამინდელი მუშაობის სიღრმისეულ ცვლილებას.

12. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია და მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი არის ერთმანეთთან შესაბამისი და ერთდროულად მოქმედი ინსტრუმენტები, რომლებიც ძირეული მნიშვნელობისაა შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში სრული და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის. მაშინ, როდესაც კონვენციას შეუძლია 2030 წლის დღის წესრიგის იმპლემენტაციის დღის წესრიგის ნორმატიული საფუძვლის შექმნა, მდგრადი განვითარების მიზნებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ეფექტურ რეალიზებაში. ამ კუთხით, სპეციალური მომხსენებელი მიესალმება გაეროს და მისი მექანიზმების, მათ შორის შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის, ძალისხმევას 2030 წლის დღის წესრიგის მათ მუშაობაში ინტეგრირების მიზნით, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად. სპეციალური მომხსენებელი მიესალმება გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ინიციატივას სახელმწიფოებისთვის, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის გზამკვლევის შემუშავებას ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვისა და მონიტორინგისთვის კონვენციასთან შესაბამისობაში, და კონვენციისთვის მიზნებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ინდიკატორების განვითარებას, რათა მოხდეს მათი იმპლემენტაციის პროგრესის გაზომვა.

### C. შებლუდული შესაძლებლობის ინკლუზიური პოლიტიკის ეკონომიკური მხარე

13. არსებობს მზარდი კონსენსუსი იმაზე, რომ სიღარიბე არაპროპორციულ გავლენას ახდენს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და ეს კავშირი იმაზე ღრმავ, ვიდრე პირველი შეხედვით ჩანს. მაშინ, როდესაც ბევრი კვლევა აღიარებს კავშირს სიღარიბესა და შებლუდულ შესაძლებლობას შორის, ძალიან ხშირად არ ხდება შებლუდული

შესაძლებლობის გამო ცხოვრების დამატებითი ხარჯების მხედველობაში მიღება. პირდაპირი ხარჯები მოიცავს დამატებით დანახარჯს შეზღუდული შესაძლებლობისთვის საჭირო ნივთებისთვის, როგორცაა პირადი მხარდაჭერისთვის საჭირო დამხმარე დანადგარები და უფრო დიდი დანახარჯი ზოგადი სერვისებისთვის, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა და ტრანსპორტი. არაპირდაპირი დანახარჯი მოიცავს დაკარგულ სარგებელს ან დაკარგული შესაძლებლობების ფასს, როგორცაა დაკარგული შემოსავალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ან მათი ოჯახის წევრებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ მუშაობა, ან მუშაობენ ნაკლებს, რადგან მათ ოჯახში არის ერთი ან მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (იხ. A/70/297). ახალი და ამჟამად განვითარების ეტაპზე მყოფი ლიტერატურა ადასტურებს, რომ ამგვარმა ხარჯებმა შესაძლოა ქვეყნის საშუალო ხელფასის 30%-მდე მიაღწიოს.<sup>5</sup> მსგავსი ხარჯების გათვალისწინებით, პრაქტიკულად, ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცხოვრების სტანდარტი, რომელიც ტექნიკურად არ იმყოფება სიღარიბის ზღვარს მიღმა, უფრო დაბალია, ვიდრე იმ ადამიანების, რომლებიც ღარიბებად მიიჩნევიან. მაგ. ვიეტნამში შეზღუდული შესაძლებლობის ხარჯების მხედველობაში მიღების შემდეგ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიღარიბის მაჩვენებელი გაიზარდა 17-და 23 პროცენტამდე.<sup>6</sup>

14. უფრო მეტიც, ოჯახის სიღარიბის მაჩვენებელი არ იღებს მხედველობაში ოჯახის შიგნით რესურსების გადანაწილებას. მტკიცებულებები ადასტურებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად თავიანთი ოჯახის რესურსებიდან წილს არ იღებენ. მაგ. თუ რესურსები შეზღუდულია, მშობლებმა შესაძლოა განათლების თანხა გადაიხადონ შეზღუდვების არ მქონე შვილებისთვის და არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილებისთვის.<sup>7</sup> აქედან გამომდინარე, სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ინდიკატორების მქონე კვლევები სიღარიბის უფრო მეტ მაჩვენებელზე მიუთითებენ შეზღუდვის მქონე და არმქონე პირების შემთხვევებში.<sup>8</sup> ყველა ამ გარემოების

<sup>5</sup> იხ. მაგ. J. Cullinan, B. Gannon and S. Lyons, "Estimating the extra cost of living for people with disabilities", *Health Economics*, vol. 20, No. 5 (May 2011); Wiebke Kuklys, *Amartya Sen's Capability Approach: Theoretical Insights and Empirical Applications* (Springer, 2005); Asghar Zaidi and Tania Burchardt, "Comparing incomes when needs differ: equalization for the extra costs of disability in the UK", *The Review of Income and Wealth*, vol. 51, No. 1 (March 2005).

<sup>6</sup> Daniel Mont and Nguyen Viet Cuon, "Disability and poverty in Vietnam", *მსოფლიო ბანკის ეკონომიკური მიმოხილვა*, vol. 25, No. 2 (May 2011).

<sup>7</sup> Maria Fernanda Rosales-Rueda, "Family investment responses to childhood health conditions: intrafamily allocation of resources", *Journal of Health Economics*, vol. 37 (September 2014).

<sup>8</sup> იხ. მაგ. Sophie Mitra, Aleksandra Posarac and Brandon Vick, "Disability and poverty in developing countries: a multidimensional study", *World Development*, vol. 41 (January 2013); Jean-François Trani, Mario Biggeri and Vincenzo Mauro, "The multidimensionality of child poverty: evidence from Afghanistan", *Social Indicators Research*, vol. 112, No. 2 (June 2013); and Jean-François Trani and Mitchell Loeb, "Poverty and disability: a vicious circle? Evidence from Afghanistan and Zambia", *Journal of International Development*, vol. 24, No. S1 (January 2012).

მხედველობაში მიღება უნდა მოხდეს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების სიღარიბის დასამარცხებლად და სიღარიბის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად ყველასთვის.

15. საზოგადოებისგან გარიყვის საფასური მნიშვნელოვანია არამხოლოდ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და მათი ოჯახებისთვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკისთვისაც. როდესაც შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან ბარიერებს მონაწილეობასთან მიმართებით, ისინი ნაკლები ალბათობით მუშაობენ და ნაკლებად შეაქვთ წვლილი ეკონომიკაში. მუშაობის შემთხვევაშიც კი, მათი ანაზღაურება ნაკლებია, ვიდრე შებლუდების არმქონე პირების, რადგან მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი განათლებაზე (უმაღლესი განათლების ჩათვლით), მაღალი ხარისხის სამუშაოზე და სესხებზე ბიზნესის დასაწყებად. შრომის მსოფლიო ორგანიზაციის 2009 წლის კვლევამ აჩვენა, რომ შებლუდული შესაძლებლობის პირთა საზოგადოებისგან გარიყვის ხარჯმა შესაძლოა მიაღწიოს ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტის 1-დან 7 პროცენტს.<sup>9</sup> ეს პროცენტი შესაძლოა რეალურზე ნაკლები იყოს, რადგან იგი არ იღებს მხედველობაში შემცირებული სამუშაო დროს და ოჯახის წევრთა ხელფასებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვაზე, რაც გამონვეულია მხარდაჭერის ნაკლებობით ან ბარიერების არმქონე გარემოს არარსებობით, რაც შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სჭირდებათ მეტი დამოუკიდებლობისთვის.<sup>10</sup> ისინი ასევე არ იღებენ მხედველობაში მომავალში დაკარგულ შემოსავალს შებლუდის არმქონე ბავშვებისთვის, რომლებიც ვერ იღებენ განათლების გარკვეულ ნაწილს გაზრდილი პასუხისმგებლობების გამო სახლში.<sup>11</sup>

16. უფრო მეტიც, შეუძლებელია საზოგადოებისთვის იმ დანაკლისის გაზომვა, რომელიც შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნიჭის და ხედვის იგნორირებით არის გამონვეული. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ მეცნიერებაში, ხელოვნებასა თუ მრეწველობაში, რისი რეალიზებაც არ ხდება, რადგან მათ არ აქვთ მონაწილეობის შესაძლებლობა. აუტიზმის ისტორიის შესახებ ახალი პუბლიკაცია აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარების მზარდ გაცნობიერებას და მათი მონაწილეობის ბარიერების მოშლას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საზოგადოებაში.<sup>12</sup>

<sup>9</sup> Sebastian Buckup, "The price of exclusion: the economic consequences of excluding people with disabilities from the world of work", International Labour Organization Employment Working Paper No. 43 (2009).

<sup>10</sup> იხ. M. Palmer and others, "The economic lives of people with disabilities in Vietnam", *PLoS ONE*, vol. 10, No. 7 (July 2015).

<sup>11</sup> იხ. მაგ. Daniel Mont and Cuong Nguyen, "Does parental disability matter to child education? Evidence from Vietnam", *World Development*, vol. 48 (August 2013).

<sup>12</sup> იხ. Steve Silberman, *Neurotribes: The Legacy of Autism and the Future of Neurodiversity* (New York, Avery, 2015).

### III. შებენიანი შესაძლებლობის ინკლუზიური პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები

17. შებენიანი შესაძლებლობის ინკლუზიური პოლიტიკის იმპლემენტაციის დროს ეროვნულ დონეზე ბევრი ელემენტის მხედველობაში მიღება უნდა მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ სრული ინკლუზია სწრაფად ვერ განხორციელდება, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია დაიწყოს პოზიტიური და არსებითი ღონისძიებების გატარება უფრო მეტად ინკლუზიური საზოგადოებების შექმნისთვის. აღნიშნული ითვალისწინებს სახელმწიფოს წარმომადგენლების და პოლიტიკის შემქმნელების მიდგომების შეცვლას შებენიანი შესაძლებლობის მიმართ და პოლიტიკის ჩარჩოს შექმნას, რომელიც მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებს პასუხობს. ამ მიმართულებით აღნიშნული ანგარიში მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას და სახელმწიფოების ყურადღების მიპყრობას ყველაზე მწვავე საკითხებზე პოლიტიკის შექმნისა და იმპლემენტაციის დროს.

18. ინკლუზიური პოლიტიკის ჩარჩოს შექმნის პირველი ნაბიჯი მოიცავს სამ ძირითად ასპექტს. პირველი - დისკრიმინაციის აკრძალვის ჩარჩოს არსებობა, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას შებენიანი შესაძლებლობის საფუძველზე ყველა სფეროში და უზრუნველყოფს გონივრული მისადაგების პრინციპს შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მეორე - ხელმისაწვდომობა არის მოთხოვნა, რომელიც საჭიროა შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რათა მათ ხელი მიუწვდებოდეთ ყველა პროგრამასა და სერვისზე და სრული და დამოუკიდებელი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მესამე - უნდა არსებობდეს სერვისები და დამხმარე საშუალებები შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირების ავტონომიისა და ინკლუზიის ხელშესაწყობად, რაც მათ საშუალებას მისცემს, სხვებთან თანასწორად, სარგებელი მიიღონ პოლიტიკის ყველა ზომებისა და პროგრამისგან.

19. პოლიტიკის შემქმნელებმა და სხვა საჯარო პირებმა უნდა გაითვალისწინონ ეს სამი ასპექტი საჯარო პოლიტიკისა თუ პროგრამების შექმნისა და იმპლემენტაციის დროს, რადგან ისინი აუცილებელია შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკური მოთხოვნებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე, ამგვარ კომპონენტებს შეუძლიათ განვითარების პოლიტიკისა და პროგრამების ეფექტურობის და შედეგიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არამხოლოდ შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, არამედ მთელი მოსახლეობისთვის.

20. ასეთი ნაბიჯების გადადგმის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მრავალმხრივი ბუნების მხედველობაში მიღება უნდა მოხდეს. რადგან შეზღუდული შესაძლებლობა ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტზე ახდენს გავლენას, ინკლუზია არ იქნება ეფექტური, თუ იგი ცხოვრების ყველა სფეროში არ დაინერგება. მაგალითად, ინკლუზიური პროფესიული გადამზადებების პროგრამები მოითხოვს ინკლუზიური სამუშაო ადგილების არსებობას და ხელმისაწვდომ ტრანსპორტს ორივე შემთხვევაში. მსგავსად ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ ექნებათ ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, თუ მათი ქმედუნარიანობის სრული აღიარება არ მოხდება. რადგან ადამიანის უფლებები განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებულია, ერთი უფლების წართმევა აუცილებლად ლახავს სხვა უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას. შესაბამისად, პოლიტიკის კოორდინირებული მიდგომით, ყველა ზემოხსენებული კომპონენტის მხედველობაში მიღება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინება უნდა მოხდეს.

21. მნიშვნელოვანია, რომ სანცის ეტაპზე მოხდეს პოლიტიკაში ინკლუზიური და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის განვითარება, რათა მომავალში არ გახდეს მათში ცვლილებების შეტანა საჭირო. ინკლუზიურ პოლიტიკასა და პროგრამებში არ უნდა მოხდეს პოსტ ფაქტუმ შესწორებების შეტანა, რადგან ამან შესაძლოა სარგებელი მოუტანოს მხოლოდ ზოგიერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს. მიუხედავად იმისა, რომ თუ არ იქმნება ახალი სეგრეგირებული სტრუქტურები, ისინი შესაძლოა მოკლე ვადაში გამოსადეგი იყოს, სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ყველა სახის პოლიტიკა და პროგრამა სანცის ეტაპზევე უნდა შეიქმნას მთელი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით.

#### A. დისკრიმინაციის აკრძალვა

22. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოები ვალდებული არიან, რომ მათი სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო არ ახდენდეს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და რომ უზრუნველყონ სხვადასხვა გარანტიების ხელმისაწვდომობა თანასწორობის საფუძველზე.<sup>13</sup> შეზღუდული

<sup>13</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 7, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 2 (1) და 26; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო ფაქტი, მუხლი 2 (2); გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლები 1 და 2; ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 2 და 23; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია, მუხლები 2, 3 (ბ), 4 (1) (ბ) და

შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია განსაზღვრავს დისკრიმინაციას მრავალ სფეროსთან მიმართებით. კონვენციის მე-2 მუხლი ძალიან ფართოდ განსაზღვრავს დისკრიმინაციას შებლუდული შესაძლებლობის საფუძველზე და მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, რომელიც ხდება შებლუდული შესაძლებლობის ნიშნით. მათ შორისაა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია, დისკრიმინაცია ასოციაციით და გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმა. მე-3 მუხლი მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვას და შესაძლებლობების თანასწორობას, როგორც კონვენციის ძირითად პრინციპებს. მუხლი მე-4 (1) (ბ) და (გ) მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გააუქმონ კანონმდებლობა, წესები, ჩვეულებები და პრაქტიკა, რომლებიც შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ არის დისკრიმინაციული, რაც ასევე ეხება კერძო პირებსაც. მე-5 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს შექმნან მყარი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს ყველა ფორმის დისკრიმინაციას შებლუდული შესაძლებლობის ნიშნით და უზრუნველყოფს ყველა შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირის ეფექტურ სამართლებრივ დაცვას დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან.

23. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა უმეტესობას აქვს დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები კანონმდებლობაში, მათ შორის კონსტიტუციაში, შებლუდული შესაძლებლობა ყოველთვის არ არის განსაზღვრული, როგორც დისკრიმინაციის საფუძველი და ხშირად იგი მოიაზრება მხოლოდ კონკრეტულ სფეროებში, როგორცაა დასაქმება. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლისა და შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის შესაბამისად, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაცული უნდა იყვნენ ყველა ფორმის დისკრიმინაციისგან მათი ცხოვრების ყველა ასპექტში და სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ შებლუდული შესაძლებლობა, როგორც დისკრიმინაციის საფუძველი, თავიანთ კანონმდებლობაში, მათ შორის სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის და პროცესუალურ კანონმდებლობაში. ვინაიდან უმეტეს ქვეყნებში კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონი ნორმატიული აქტების იერარქიის სათავეში დგას, კონსტიტუციური დებულებები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციისგან დასაცავად.

24. კონვენციის მე-5 (3) მუხლი მოითხოვს სახელმწიფოებისგან ყველა საჭირო ნაბიჯის გადადგმას, რათა შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მოხდეს გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით. ეს ითვალისწინებს ყველა საჭირო მოდიფიკაციას და მისადაგებას, რათა მოხდეს პირის ინდივიდუალური მახასიათებლების ან განსხვავებების გათვალისწინება იმისათვის, რომ

---

(ე) და მუხლი მე-5; საერთაშორისო კონვენცია მიგრანტი მუშების და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ.



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ისარგებლონ ადამიანის ყველა უფლებით და ფუნდამენტური თავისუფლებით, მათ შორის ხელი მიუწვდებოდეთ ინფრასტრუქტურაზე, პროგრამებსა და სერვისებზე, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, ეს ვალდებულება ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ პირებზე (მაგ. მუშაობის მოქნილი გრაფიკის შექმნა პირისთვის, რომელიც ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე) და მან არ უნდა დააკისროს არაპროპორციული ან არაგონივრული ტვირთი ვალდებულების მქონე სუბიექტს, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო დანესებულება. სახელმწიფოებმა თავიანთ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ, რომ გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმა არის დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

25. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა არის მათი მყისიერი ვალდებულება, რადგან დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება არ ექვემდებარება პროგრესულ რეალიზებას (იხ. A/70/297). ვინაიდან ყოვლისმომცველი ხელმისაწვდომობა და მყარი, მდგრადი მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფა ვერ მოხდება დაუყოვნებლივ, მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დაუყოვნებელი გამოყენება, გონივრული მისადაგების ჩათვლით, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პირდაპირ მიუწვდებოდეთ ხელი და სარგებლობდნენ განვითარების პოლიტიკითა და პროგრამებით.

26. გონივრული მისადაგების ვალდებულების პრაქტიკული იმპლემენტაცია სახელმწიფოებისთვის გამომწვევად რჩება. რიგ ქვეყნებში არსებული კანონმდებლობა გონივრულ მისადაგებას უფრო ვიწროდ განმარტავს, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-2 მუხლში არის მოცემული. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანას არ აქვს პრაქტიკული მითითებები იმის თაობაზე, თუ როგორ უზრუნველყოს გონივრული მისადაგება და როგორ შეაფასოს არაპროპორციული ან არაგონივრული ტვირთი, რაც ზღუდავს ამ უფლებების მოქმედებას. აღნიშნული ანგარიშისთვის მონოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ბევრი სახელმწიფო არ განიხილავს შესაბამისი საჯარო დანესებულებების მიერ სპეციალური თანხის გამოყოფის საკითხს გონივრული მისადაგების იმპლემენტაციისთვის და იყენებენ ზოგადი ოპერაციებისთვის არსებულ ბიუჯეტს, რომელიც ხშირად შეზღუდული და მწირია. უფრო მეტიც, საბიუჯეტო ჩარჩოები ყოველთვის არ უზრუნველყოფენ მოქნილ მექანიზმს, რათა უპასუხონ გონივრული მისადაგების მყისიერ საჭიროებებს. შედეგად, სახელმწიფოებმა არამხოლოდ უნდა უზრუნველყონ გონივრული მისადაგება კონვენციასთან შესაბამისობაში, არამედ ამ მიზნით უნდა გამოყონ სპეციალური თანხები და მოამზადონ საჯარო მოხელეები მისი ეფექტური იმპლემენტაციისთვის.

27. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა აღმოფხვრან დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ნებისმიერი პირის, ორგანიზაციის ან კერძო დაწესებულების მხრიდან, მათ შორის ჩადენილი კერძო სკოლების, სამედიცინო მომსახურების გამწვევების, დამსაქმებლების და საქონლის და სერვისების მიწოდების მიერ. აღნიშნული ანგარიშისთვის მიწოდებული ინფორმაცია ასახავს, რომ ბევრ შემთხვევაში დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ, განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულება, ფართოდ გამოიყენება საჯარო დაწესებულებების მიმართ, მაგრამ მისი გამოყენება არ არის შესაძლებელი კერძო პირების მიერ ჩადენილ დისკრიმინაციასთან მიმართებით. სახელმწიფოები ვალდებული არიან გონივრული მისადაგება უზრუნველყონ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში.

28. დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების ხელმისაწვდომობა, სასამართლო თუ არასასამართლო პროცედურების მეშვეობით, არის ძირეული მნიშვნელობის დისკრიმინაციის ამკრძალავი ჩარჩოს დასაწესებლად. ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვადასხვა მიზეზების გამო ხელი არ მიუწვდებათ მართლმსაჯულებაზე სხვებთან თანასწორად. მათ შორისაა ქმედუნარიანობის წართმევა, უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, მისადაგების სიძვირე, არახელმისაწვდომობა და არარსებობა. ბევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს ან თანასწორობის ორგანოს აქვს დისკრიმინაციის დავების განხილვის მანდატი, სხვადასხვა დონის უფლებამოსილებითა და კომპეტენციით. ზოგ შემთხვევაში ამ ინსტიტუტებს შეუძლიათ სანქციების დადგენა და სამართლებრივი დაკმაყოფილება, სხვა შემთხვევებში კი მათ შეუძლიათ გამოსცენ მხოლოდ არასავალდებულო ძალის რეკომენდაციები. ამ კონტექსტში, სასამართლო დაცვის საშუალებებმა უნდა შეავსონ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების და თანასწორობის ორგანოების მუშაობა.

29. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის მე-5 (4) მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ სპეციალური ზომების მიღების შესაძლებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დე ფაქტო თანასწორობის მისაღწევად, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა სხვადასხვა სფეროებში, როგორცაა განათლება, დასაქმება თუ პოლიტიკური მონაწილეობა. მაგ. ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე დანერგა პოზიტიური ღონისძიებები ან სპეციალური ზომები, განსაკუთრებით კი დასაქმების კვოტები, რათა დაამარცხოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაცია სამუშაო ადგილას. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის გარეშე, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არახელსაყრელ

მდგომარეობაში ყოფნის სტრუქტურულ ბუნებას, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საზოგადოება გახდეს უფრო ინკლუზიური.

30. სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ მრავალი ნიშნით განხორციელებულ და ინტერსექციურ დისკრიმინაციაზე. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია აღიარებს დისკრიმინაციის ამგვარი ფორმების მნიშვნელობას, განსაკუთრებით შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან და ბავშვებთან მიმართებით, რადგან ისინი არიან დისკრიმინაციისა და უგულვებელყოფის უფრო მაღალი რისკის ქვეშ (იხ. პრეამბულის პუნქტი p და მე-6 და მე-7 მუხლები). საჯარო პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისა და იმპლემენტაციის დროს სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებში ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფების მდგომარეობა, როგორცაა ქალები, მოზარდები, ხანდაზმულები, აუტიზმის მქონე და სმენისა და მხედველობის არმქონე პირები (იხ. მაგ. CRPD/C/SVK/CO/1 და CRPD/C/AUS/CO/1). ინკლუზიურობისთვის საჭიროა, რომ პოლიტიკამ და პროგრამებმა უპასუხოს ასეთი ჰეტეროგენული ჯგუფების საჭიროებებს.

31. ისევე, როგორც რასიზმი, სექსიზმი, ეთნიციზმი და ქსენოფობია, აბლეიზმი ყველა საზოგადოებაში გავრცელებული პრობლემაა და საჭიროა მისი აღიარება და შეწინააღმდეგება. ვარაუდი იმის შესახებ, რომ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირები ნაკლებად ღირებულები არიან, ვიდრე სხვები, უდევს საფუძვლად ბევრ პრობლემურ პოლიტიკას და პროგრამას, რომლებიც შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უკავშირდება. ამის მიუხედავად, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი აზრი უფრო და უფრო გმობს შეუწყნარებლობის სხვა ფორმებს, როგორც წესი აბლეისტური მიდგომები ახდენს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის რიტორიკის ლეგიტიმაციას. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციას აქვს ძალიან დიდი პოტენციალი იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ნეგატიურ წარმოდგენებს და უზრუნველყოს მათი უფლებებისა და ღირსების დაცვა. აბლეიზმის დასამარცხებლად სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და გაითავისონ მრავალფეროვნება შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარებისა და კონტრიბუციის პოპულარიზებით საზოგადოებაში და მათი მიღებით ადამიანთა მრავალფეროვნების ნაწილად.

## B. ხელმისაწვდომობა

32. ხელმისაწვდომობა არის მოთხოვნა ბარიერებისგან თავისუფალი, ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობისთვის, სადაც ადამიანებს შეეძლება დამოუკიდებელი ცხოვრება და ცხოვრების და საზოგადოების ყველა ასპექტში მონაწილეობა. ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების ხელმისაწვდომობის გარეშე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ შეუძლიათ თავიანთი უფლებების დაცვა, განვითარების პროგრამებსა და პოლიტიკაში მონაწილეობა და მათით სარგებლობა. ყველა ფიზიკური ინფრასტრუქტურის, მათ შორის შენობების, სატრანსპორტო სისტემის, საჯარო სივრცეების და სხვ. დიზაინი უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის იყოს სრულად ხელმისაწვდომი. ეს მოიცავს არამხოლოდ შესასვლელებს, სადარბაზოებს, ოთახებს, საპირფარეშოებსა და საგანგებო მდგომარეობის დროს ევაკუაციის გზებს, არამედ ასევე საჯარო გამოყენების ავეჯსა და მოწყობილობებს, როგორცაა ლიფტები, დახლები, დაფები და ბანკომატები. ყველა სახის ინფორმაცია და კომუნიკაციის საშუალება უნდა იყოს ხელმისაწვდომი დიზაინის, მათ შორის სიგნალის, განცხადებების, დოკუმენტების, ტელევიზიისა და რადიო გადაცემების მეშვეობით. როდესაც არ არსებობს ხელმისაწვდომი ინფორმაცია და კომუნიკაციის საშუალებები, სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბოგიერთი პირი ვერ სარგებლობს საჯარო პოლიტიკითა და პროგრამებით.

33. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-3 (f) და მე-9 მუხლების თანახმად, სახელმწიფოს აქვს საერთაშორისო ვალდებულება მიიღოს სათანადო ზომები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვებთან თანასწორად მიუწვდებოდეთ ხელი ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციებზე, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და სისტემებზე, სხვა სივრცეებსა და სერვისებზე, რომლებიც ღიაა საზოგადოებისთვის, იქნება ეს საჯარო თუ კერძო, ქალაქში თუ შორეულ სოფელში მდებარე. ამგვარი ზომები უნდა მოიცავდეს პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციის დროს არსებული ბარიერების გამოვლენას და აღმოფხვრას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N2 (2014) ხელმისაწვდომობის შესახებ ითვალისწინებს ამ ვალდებულებების იმპლემენტაციის საჭირო მითითებებს.

34. ხელმისაწვდომობის სრული უზრუნველყოფისთვის უნივერსალური დიზაინის პრინციპი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. უნივერსალური დიზაინი გულისხმობს, რომ პროდუქტები და გარემო იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ მისი გამოყენება მაქსიმალურად შეეძლოს ყველას ადაპტაციის ან სპეციალიზირებული დიზაინის საჭიროების გარეშე. შესაბამისად, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაძლოა მოხდეს არამხოლოდ არსებული ინფრასტრუქტურის განახლებით, არამედ ასევე უნივერსალური დიზაინის პრინციპის გამოყენებით, სადაც პროგრამები, პოლიტიკა და

ინფრასტრუქტურა შექმნილია ადამიანების მრავალფეროვნების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. როგორც კომიტეტმა განმარტა თავის მე-2 ზოგად კომენტარში, უნივერსალურ დიზაინს შეუძლია საზოგადოება გახადოს ხელმისაწვდომი არამხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, არამედ ყველა პირისთვის.

35. იმისათვის, რომ მოხდეს თანმიმდევრულობისა და პროგრესის ეფექტური უზრუნველყოფა სრული ხელმისაწვდომობის მიღწევის მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ხელმისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები, რეგულაციები და უნივერსალური დიზაინი, რაც მოიცავს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას მკაფიო გზამკვლევის შესაქმნელად მათთვის, შეიმუშავებს და ახორციელებს პროგრამებსა და პოლიტიკას. ამგვარი სტანდარტების განვითარება სანყისი ეტაპიდან არ უნდა დაიწყოს. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ დაბეჭდა ხელმისაწვდომობის გზამკვლევი და სტანდარტების ნიმუში.<sup>14</sup> მსგავსად ამისა, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო ორგანიზაციამ განავითარა გაიდლაინები და რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება ტელეკომუნიკაციების, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ყველა ამ სტანდარტის შესაბამება შეიძლება ქვეყნის სპეციალურ კონტექსტთან.<sup>15</sup>

36. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანას აქვს ხელმისაწვდომობის სტანდარტები ან/და გაიდლაინები, ხშირად ესენი არ არის სავალდებულო ხასიათის, ან აკმაყოფილებს მხოლოდ ფიზიკური შეზღუდვების მქონე პირთა საჭიროებებს. მნიშვნელოვანი ხარვეზები რჩება კონკრეტულ ჯგუფებთან მიმართებით, როგორცაა მხედველობის და სმენის არმქონე პირები, შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე პირები და აუტიზმის მქონე პირები, განსაკუთრებით ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროებში. მაგალითად, საჯარო სექტორის ვებ-გვერდების უმეტესობა ხელმისაწვდომი არ არის. ამ ანგარიშისთვის წარმოდგენილმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ ხელმისაწვდომობის სტანდარტები და რეგულაციები არის ფრაგმენტული სექტორების მიხედვით, რაც აფერხებს ეფექტურ კოორდინაციას სხვადასხვა ინსტიტუტებს, დეპარტამენტებს ან კომპანიებს შორის, რომლებიც იმპლემენტაციაზე არიან პასუხისმგებელი. ხელმისაწვდომობასთან და უნივერსალურ დიზაინთან დაკავშირებული ხელმისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები და წესები უნდა შეიქმნას ყველა სათანადო

<sup>14</sup> ISO/IEC, "Guide no. 71 for addressing accessibility in standards" (2014).

<sup>15</sup> რეგიონულ დონეზე ევროპის კავშირი ამჯერად ამუშავებს ერთობლივ დირექტივას ვებ-გვერდების ხელმისაწვდომობაზე, რომელიც, ხელმისაწვდომობის ევროპულ აქტთან ერთად, უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობის საერთო მოთხოვნებს ევროპის კავშირის შიგნით. „ინკლუზიურმა ევროპამ“ ასევე შექმნა სტანდარტები ინფორმაციის წაკითხვისა და გააზრების გასამარტივებლად, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: [www.easy-to-read.eu/wp-content/uploads/2014/12/EN\\_Information\\_for\\_all.pdf](http://www.easy-to-read.eu/wp-content/uploads/2014/12/EN_Information_for_all.pdf).

დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის შედეგად, არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, იმისათვის, რომ ეს შეთავსებადი იყოს სხვადასხვა ქვეყნებისთვის.<sup>16</sup>

37. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსალური დიზაინი უნდა დაინერგოს ყველა ახალ ინფრასტრუქტურაში, პროგრამასა თუ სერვისში, სრული ხელმისაწვდომობის მყისიერი უზრუნველყოფა შეუძლებელია. ამ ეტაპამდე მნიშვნელოვანია სტრატეგიების და დროში განწერილი სამოქმედო გეგმების განვითარება, რათა საჯარო და კერძო დაწესებულებები და სერვისები ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მაშინ, როდესაც მოკლე დროში ყველა სტრუქტურის განახლება შეუძლებელი შეიძლება იყოს, უფრო ნაკლებ დანახარჯს გამოიწვევს ყველა ახალი კონსტრუქციისა და ნოვაციისთვის ხელმისაწვდომობისა და უნივერსალური დიზაინის სტანდარტების დაცვის მოთხოვნა. გამოთვლების თანახმად, ეს მშენებლობის ხარჯებს მხოლოდ 1 პროცენტს დაუმატებს.<sup>17</sup>

38. მნიშვნელოვანია ასევე გონივრული მისადაგების დაფინანსება კონკრეტული შემთხვევების გადასაწყვეტად. მაგალითად, სატარებელი პანდუსი ეტლით მოსარგებლე სტუდენტისთვის არახელმისაწვდომ სკოლაში გამოსაყენებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიება კონკრეტული პირისთვის მოხსნის ბარიერს, მას არ შეუძლია გახადოს გარემო უფრო ინკლუზიური. ხარვეზების აღმოფხვრის ზომებს თან უნდა სდევდეს დროში განწერილი გეგმა, რათა პროგრამები და სერვისები გახდეს სრულად ინკლუზიური. ხელმისაწვდომობის არარსებობით არ შეიძლება თავი გაიმართლოს სახელმწიფომ იმისათვის, რომ თავი აარიდოს არსებული ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციის, კომუნიკაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამგვარ შემთხვევებში უნდა მოხდეს გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა.

39. ბევრ ქვეყანაში საჭიროა ხელმისაწვდომობის წესებისა და სტანდარტების აღსრულების გაუმჯობესება. აღნიშნული ანგარიშისთვის მონოდებული ინფორმაცია ხაზს უსვამს ხელმისაწვდომობის პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციის დაბალ დონეს. ხელმისაწვდომობის აღსრულების მექანიზმები ხშირად ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, მაგრამ ბევრ მათგანს არ აქვს მონიტორინგის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, ძალიან ბევრ შემთხვევაში კულტურული შენობების კონსერვაციის წესების გამოყენება ხდება სახელმწიფოს მიერ ხელმისაწვდომობის რეგულაციების

<sup>16</sup> [2]. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N2.

<sup>17</sup> იხ. Edward Steinfeld, "Education for all: the cost of accessibility", მსოფლიო ბანკის საგანმანათლებლო ინფორმაცია (2005); და აშშს დასაქმების თანასწორი შესაძლებლობების კომისია და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მართლმსაჯულების და სამოქალაქო უფლებების განყოფილება, "Americans with Disabilities Act: questions and answers", იხ. ბმულზე: [www.ada.gov/qandaeng.htm](http://www.ada.gov/qandaeng.htm).

შეუსრულებლობის გასამართლებლად და, აქედან გამომდინარე, ძველი შენობები რჩება ხელმიწვდომელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

40. აღსრულების არარსებობის გავრცელებული პრობლემის გადასაჭრელად, ზოგადად შენობებისთვის, ტრანსპორტისა და ვებ-გვერდებისთვის უნდა დადგინდეს ხელმისაწვდომობის მოთხოვნები და სხვა კანონით განსაზღვრული ტექნიკური წესები. მსგავსად ამისა, ნებართვები და ლიცენზიები ახალი შენობების ასაშენებლად, ან არსებული კონსტრუქციების და სერვისების შესაცვლელად, უნდა მოიცავდეს ხელმისაწვდომობის სტანდარტის დანერგვის ვალდებულებას. სახელმწიფოებმა ასევე უნდა დანერგონ ხელმისაწვდომობის მოთხოვნები სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკასა და პროცედურებში და თავიანთი ეროვნული საჯარო ინვესტირების სისტემებში. მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ევროპული პარლამენტის და საბჭოს N2014/24/EU დირექტივა მხედველობაში იღებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობის კრიტერიუმს.<sup>18</sup>

41. საზოგადოებისთვის არსებული კერძო სერვისები და დანესებულებები ასევე უნდა ექვემდებარებოდნენ ხელმისაწვდომობის შესაბამის სტანდარტს. ეს მოიცავს სერვისების პროვაიდერებს, როგორცაა კერძო სკოლები და სამედიცინო დანესებულებები, ასევე კერძო ბიზნესებს, როგორცაა მაღაზიები ან კინოთეატრები. ყველა დანესებულება ან ორგანიზაცია, რომლის მიზანია საზოგადოებისთვის სერვისის, განსაკუთრებით საზოგადოებრივი სერვისის, მიწოდება, ხელმისაწვდომი უნდა იყოს. რადგან სერვისების მიწოდებლების და ბიზნესის მეპატრონეთა უმეტესობამ არ იცის ხელმისაწვდომობის სტანდარტები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვადასხვა საჭიროებები, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მკაფიო მითითებები და მხარდაჭერა მათ გადასაჭრელად. ამისათვის საჭიროა ფინანსური დახმარების გათვალისწინება ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად და ტრენინგი ამ მოთხოვნების დასაწერად, აღსრულებასთან ერთად.<sup>19</sup>

42. სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ინვესტირება ხელმისაწვდომობის მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების და საგანმანათლებლო პროგრამებში. კარგად ჩამოყალიბებული სტანდარტები და მითითებები აზრს კარგავს, თუ მათ არ იცნობენ ისინი, ვისაც მათი გამოყენება ევალება. ეს გულისხმობს სახელმწიფოს წარმომადგენელთა და პოლიტიკისა და გეგმების შემდგენთა სენსიტიურობის გაზრდასა და ტრენინგს.

<sup>18</sup> დირექტივა აღნიშნავს, *inter alia*, რომ ფიზიკური პირების გამოყენებს მიზნებისთვის ყველა შესყიდვა, ტექნიკური მასახიათებლებით, ისე უნდა იყოს ისე განერილი (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა), რომ შპმ პირებისთვის და ყველა მომხმარებლისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

<sup>19</sup> იხ. შეზღუდული შესაძლებლობების ეროვნული საბჭო, "Implementation of the Americans with Disabilities Act: challenges, best practices, and new opportunities for success" (2007).

ხელმისაწვდომობისა და უნივერსალური დიზაინის დანერგვა ასევე უნდა მოხდეს ტექნოლოგიური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ყველა პროფესიის სასწავლო პროგრამაში, დიზაინის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საინჟინრო საქმეში.

## B. დამხმარე ტექნოლოგიები და მხარდაჭერის სერვისები

43. მიუხედავად იმისა, რომ ზოგად გარემოზე და სამთავრობო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობას, ეს მაინც არ არის საკმარისი. თინანსურად ხელმისაწვდომი დახმარების და მხარდაჭერის სერვისების არსებობა ძირეული მნიშვნელობისაა ბევრი, განსაკუთრებით ღარიბი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რათა მათ, სხვებთან თანასწორად, სრულად მიუწვდებოდეთ ხელი და სარგებლობდნენ პოლიტიკითა და პროგრამებით. ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ამგვარ საქონელზე და სერვისებზე ხელმისაწვდომობა არის მისი ღირსების დაცვის და ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლებისა და თავისუფლების პატივისცემის წინაპირობა.

44. დამხმარე მოწყობილობების და ტექნოლოგიების უმთავრესი მიზანია პირს მისცეს ისეთი მოქმედების განხორციელების საშუალება, რაც მას არ შეეძლო, ან გაამარტივოს ან უფრო უსაფრთხო გახადოს ამგვარი მოქმედებების შესრულება.<sup>20</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადრეული ბავშვობის განვითარებაზე, განათლების შედეგებზე და ამცირებს სხვა სახის მხარდაჭერის საჭიროებას. დამხმარე საშუალებების ყველაზე გავრცელებული მაგალითებია ეტლები, ფეხით გადაადგილების დამხმარე საშუალებები, ყავარჯნები, ორთოსები, ადაპტირებული დანა-ჩანგალი, გაფართოებული წვდომის საშუალებები და ადაპტირებული გადამრთველები ფიზიკური შეზღუდვების მქონე პირებისთვის; სმენის დამხმარე საშუალებები, სმენის დამხმარე ტექნოლოგია, სასიგნალო მოწყობილობები, გაფართოებული ფუნქციების ტელეფონები, კომუნიკატორები სმენისა და მხედველობის არმქონე პირებისთვის; სათვალეები, გამადიდებლები, თეთრი ხელჯახები, ხმის ამომცნობი პროგრამა, ბრაილის დაფები და ეკრანის წამკითხველები მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის; კომუნიკაციის დაფები და მეტყველების სინთეზატორები კომუნიკაციის საჭიროების მქონე პირთათვის; და კომპიუტერები და ვიზუალური და

<sup>20</sup> ჯანმო და გაეროს ბავშვთა ფონდი იყენებენ „დამხმარე ტექნოლოგიებს“, როგორც ქოლგა ტერმინს დამხმარე მოწყობილობებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების აღსანიშნავად. იხ. მაგ. დისკუსიის ანგარიში შშმ ბავშვთათვის დამხმარე ტექნოლოგიებზე, ხელმისაწვდომია ბმულზე: [www.unicef.org/disabilities/files/Assistive-Tech-Web.pdf](http://www.unicef.org/disabilities/files/Assistive-Tech-Web.pdf).



სალაპარაკო თაიმერები ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისთვის. დამხმარე მონაცემილობები და ტექნოლოგია არსებობს როგორც დაბალი ფასის, ასევე მაღალტექნოლოგიური გაჯეტების სახით.

45. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-20, 26 (3) და 28 (2) (ა) მუხლების თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დამხმარე მონაცემილობებისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, მათზე ინფორმაციის გავრცელებას და მათ გამოყენებას.<sup>21</sup> მუხლი 20 (ბ) მოითხოვს სახელმწიფოებისგან, რომ მიიღონ ეფექტური ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისთვის გადაადგილების დამხმარე საშუალებებზე, ხელსაწყოებზე, დამხმარე ტექნოლოგიასა და დახმარების სხვადასხვა ფორმებზე. ეს ზომები უნდა მოიცავდეს მათ ხელმისაწვდომობას უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასად. უფრო მეტიც, სახელმწიფოების ზოგადი ვალდებულებების ნაწილია ხელი შეუწყონ იმ მონაცემილობების და დამხმარე ტექნოლოგიების კვლევას, განვითარებას, ხელმისაწვდომობას და გამოყენებას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არის ხელსაყრელი და პრიორიტეტი მნიშვნელოვანი ფასის ტექნოლოგიას (მუხლი 4 (1) (გ)). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ასევე უნდა მიანოდონ ხელმისაწვდომი ინფორმაცია გადაადგილების დამხმარე საშუალებების, მონაცემილობების და დამხმარე ტექნოლოგიების შესახებ, რაც მოიცავს თანამედროვე ტექნოლოგიებს, დახმარებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმებს და დანესებულებებს (მუხლი 4 (1) (h)). მიუხედავად ამგვარი ვალდებულებებისა, ბევრ განვითარებად ქვეყანაში საჭიროების მქონე ადამიანების მხოლოდ 5-დან 15 პროცენტამდე იღებს დამხმარე ხელსაწყოებს და ტექნოლოგიებს.

46. სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დამხმარე მონაცემილობებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა ელემენტები იმისათვის, რომ უზრუნველყონ მათი ეფექტური დისტრიბუცია და გამოყენება<sup>22</sup> ბევრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა და მათი ოჯახის წევრებმა არ იციან დამხმარე პროდუქტების და სერვისების არსებობის შესახებ. ბევრ ქვეყანაში დამხმარე მონაცემილობები და ტექნოლოგიები ინარმოება ძალიან მცირე

<sup>21</sup> იხ. ასევე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N5 (1994) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ, აბზაცი N33 და ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N9 (2006) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შესახებ, აბზაცი 20 და 65.

<sup>22</sup> ჯანმო და გაეროს ბავშვთა ფონდი იყენებენ „დამხმარე ტექნოლოგიებს“, როგორც ქოლგა ტერმინს დამხმარე მონაცემილობებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების აღსანიშნავად. იხ. მაგ. დისკუსიის ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთათვის დამხმარე ტექნოლოგიებზე, ხელმისაწვდომია ბმულზე: [www.unicef.org/disabilities/files/Assistive-Tech-Web.pdf](http://www.unicef.org/disabilities/files/Assistive-Tech-Web.pdf).

რაოდენობით, ან საერთოდ არ ხდება მათი წარმოება. ხელმისაწვდომობის შემთხვევაში დამხმარე ტექნოლოგიების და სერვისების მიწოდება ხშირად ხდება მცირე ოდენობით და დიდ ქალაქებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უმეტესობის საცხოვრებელიდან შორს. უფრო მეტიც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს იშვიათად ეძლევათ შესაძლებლობა ამოირჩიონ ყველაზე შესაბამისი დამხმარე საშუალება მათი სპეციფიკური საჭიროებების ან გარემოს გათვალისწინებით. დამხმარე მონაცობილობების და ტექნოლოგიების მიწოდება, აქედან გამომდინარე, უნდა იყოს რეაბილიტაციის პროცესის და რეაბილიტაციის სერვისების განუყოფელი ნაწილი რეფერალური სისტემების არსებობისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამებას ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ინსტრუქციებს მათი სათანადო გამოყენების, შენახვისა და შეკეთების თაობაზე. ასევე მნიშვნელოვანია დამხმარე მონაცობილობების და ტექნოლოგიების სათანადო უზრუნველყოფა, დისტრიბუცია და ამ დარგში მომუშავე პირების სათანადო მომზადება. რაც ყველაზე მთავარია, უნდა არსებობდეს იმგვარი სისტემები, რომ მათ ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გაძლიერებას და მათი არჩევანის გათვალისწინებას.<sup>23</sup>

47. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგი დამხმარე საშუალება და ტექნოლოგია შესაძლოა ძვირი იყოს, განსაკუთრებით დაბალი შემოსავლის ქვეყნებისთვის. ბევრ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ შეეძლება მათი შეძენა, თუ არ მოხდება მათი უფასოდ მიწოდება, ან სუბსიდირება. სახელმწიფომ უნდა მიიღოს რიგი ზომები ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. უპირველეს ყოვლისა, დამხმარე საშუალებები და ტექნოლოგია უნდა შედიოდეს ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნული პროგრამის ან სოციალური დაცვის სქემებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ შემუშავებული დამხმარე პროდუქტების პრიორიტეტულ სიაზე დაყრდნობით სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ძირითადი დამხმარე პროდუქტების სია თავიანთი ეროვნული საჭიროებებისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით.<sup>24</sup> მეორე - სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ იმპორტის გადასახადის გაუქმება იმ დამხმარე საშუალებებსა და ტექნოლოგიებზე, რომელთა წარმოებაც არ ხდება ქვეყნის შიგნით. დაბოლოს, სახელმწიფოებმა გრანტების, სესხებისა და საგადასახადო კრედიტების მეშვეობით მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივ ბიზნესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე ტექნოლოგიებს წარმოებას ან დიზაინს. კონვენციის მე-4 და 28-ე (2) (ა) მუხლების თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა მაქსიმალური ხელმისაწვდომი რესურსებით უნდა მოახდინონ დამხმარე მონაცობილობების მიწოდების სუბსიდირება

<sup>23</sup> ეტლებისა და სხვა დამხმარე მონაცობილობების თაობაზე უფრო დეტალური გზამკვლევის მაგალითისთვის იხ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიში: [www.who.int/disabilities/publications/technology/en/](http://www.who.int/disabilities/publications/technology/en/).

<sup>24</sup> იხ. [www.who.int/phi/implementation/assistive\\_technology/low\\_res\\_english.pdf?ua=1](http://www.who.int/phi/implementation/assistive_technology/low_res_english.pdf?ua=1).

აღნიშნული არსებულ პროგრამებში ინკორპორირებით თუ ახალი, ცალკე პროგრამების შექმნით.

48. სხვადასხვა ფორმის დახმარების და მხარდაჭერის სერვისები არის საჭირო ზოგიერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, რათა მათ, სხვებთან თანასწორად, იცხოვრონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-19 (ბ) მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობა სახლში, საცხოვრებელ ადგილას არსებულ და სხვა სათემო სერვისებზე, რომლებიც საჭიროა მათი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინკლუზიისთვის, საზოგადოებისგან იზოლაციისა და სეგრეგაციის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული მხარდაჭერის სერვისები მოიცავს პერსონალურ ასისტენტს, გადანაცვლებების მიღებაში მხარდაჭერას, კომუნიკაციაში დახმარებას (რიდერები, აუდიო ტექსტური ენის თარჯიმნები), გადაადგილებაში დახმარებას (გაიდები, მომსახურე ცხოველები), საცხოვრებელთან დაკავშირებულ სერვისებს (საცხოვრებელი, მზრუნველობა საცხოვრებელში) და სათემო სერვისებს. აღნიშნული საშუალებები შესაძლოა იყოს დამხმარე მონაცემების როგორც შემცველი, ისე შემავსებელი. ხშირად აღნიშნული სერვისები არ იფარება ჯანმრთელობის დაზღვევის და სოციალური დაცვის სქემებით იმის მიუხედავად, რომ თუ რიგითი ადამიანი საერთოდ შეძლებს მათ შესყიდვას, თავისი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდა მოუწევს. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მათი ფინანსური ხელმისაწვდომობისთვის რესურსების მაქსიმუმის გამოყენებით, რათა დაიცვან კონვენციის მე-4, 28 (2) (ა) (ბ) (გ) მუხლები.

49. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გაიდლაინები და კრიტერიუმები დამხმარე და მხარდაჭერის სერვისების რეგულირებისთვის, რაც მოიცავს გადამზადებისა და სერტიფიცირების სტანდარტებსაც. უნდა მოხდეს აუდიო ტექსტური ენის თარჯიმნების, სმენის და მხედველობის არმქონე პირების თარჯიმნების, პერსონალური ასისტენტების და სხვა დამხმარეების ტრენინგი და სერტიფიცირება. აუდიო ტექსტური ენის თარჯიმნებთან მიმართებით, სერტიფიცირება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ოფიციალურ აუდიო ტექსტურ ენაზე. ქვეყნის კოდექსები უნდა შემუშავდეს სერვის პროვაიდერების დასახმარებლად მათი მოვალეობების შესრულებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლების კონსულტირება და ჩართვა უნდა მოხდეს ყველა პროცესში.

50. სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ სერვისის მიწოდების ტიპის მიუხედავად (პირდაპირი მიწოდება, კერძო-საჯარო პარტნიორობა, თანამშრომლობა სათემო ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა მიეწოდებოდეთ ხარისხიანი სერვისები და სათანადო მხარდაჭერა.

სერვისები უნდა იყოს შექმნილი იმგვარად, რომ მომხმარებელთათვის უზრუნველყოს სერვის პროვაიდერების პირდაპირი არჩევა და კონტროლი, რაც ითვალისწინებს მხარდაჭერის აღმოჩენის გზასაც. ზოგ ქვეყანაში პერსონალური ბიუჯეტის გამოყოფა არის საუკეთესო გზა იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არჩევანის თავისუფლება და კონტროლის ქონა იყოს უზრუნველყოფილი, რაც თითოეულ პირს მისცემს შესაძლებლობას თავად გადაწყვიტოს ვინ დაიქირავოს და რა სახის სერვისი თუ მხარდაჭერა მიიღოს.<sup>25</sup>

51. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რაც შეიძლება მეტი დახმარებისა და მხარდაჭერის სერვისების ინტეგრირება არსებულ პოლიტიკასა და პროგრამებში. ფაქტობრივად ბევრ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს სჭირდება გარკვეული ტიპის მხარდაჭერა იმისათვის, რომ ხელი მიუწვდებოდეს საჯარო განათლების, დასაქმების, მართლმსაჯულებისა და ჯანდაცვის პროგრამებსა და სერვისებზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს შესაძლოა ესაჭიროებოდეთ დამატებითი მხარდაჭერა სკოლაში სასწავლად, ფსიქო-სოციალური შეზღუდვის მქონე პირებს შესაძლოა სჭირდებოდეთ სოციალური უზრუნველყოფის მიღებისთვის მხარდაჭერა, ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირს შესაძლოა სჭირდებოდეს ჯობ ქოუჩი, რათა მისთვის დასაქმება იყოს ხელმისაწვდომი.<sup>26</sup> სახელმწიფოებმა უნდა დაგეგმონ და ბიუჯეტი გამოუყონ ამგვარ სერვისებს პოლიტიკისა და პროგრამების შექმნის დროს.<sup>27</sup>

52. შეზღუდული შესაძლებლობისთვის სპეციფიური ზოგიერთი სერვისი შესაძლოა არსებობდეს ცალკე პროგრამის სახით. ისინი შეიძლება მოიცავდეს, სხვა საკითხებთან ერთად, სერვისებს, რომლებიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ავტონომიას და დამოუკიდებლობას ინფორმაციის მიწოდების, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების გამომუშავების ტრენინგების და თანასწორთა კონსულტირების მეშვეობით. ეს პროგრამები შესაძლოა ასევე ითვალისწინებდეს სერვისებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რათა მოხდეს მათი ტრანზიციის სეგრეგირებული დანესებულებებიდან საზოგადოებაში. ამგვარი სერვისების მიწოდების კარგი მაგალითია დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრები, რომლებსაც ძირითადად მართავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ამგვარ ცენტრებს ფუნდამენტური წვლილი შეაქვს

<sup>25</sup> არგენტინაში კანონი N26.480 ითვალისწინებს სუბსიდირებას სახლში პერსონალური ასისტენტის დაქირავებისთვის. კოსტა რიკამ მიიღო ახალი სამართლებრივი ჩარჩო პერსონალური ასისტენტით უზრუნველყოფის თაობაზე.

<sup>26</sup> პერუ, მაგალითად, ახორციელებს მხარდაჭერის მეშვეობით დასაქმების პროგრამას ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე პირებისთვის, რომელთათვისაც გამოყოფილია ჯობ ქოუჩი სამუშაოს მოძებნაში დასახმარებლად.

<sup>27</sup> ინდოეთში პროგრამა Sarva Shiksha Abhiyan დაწყებითი განათლების უნივერსალიზაციის თაობაზე, ყოველ წლიურად თითოეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის ითვალისწინებს ნაღდი ფულით გრანტების გაცემას, რათა მოხდეს მათი დამატებითი ხარჯების ანაზღაურება.

არამხოლოდ სერვისების მიწოდებაში, არამედ ასევე ინდივიდთა ჩართულობის ადვოკატირების მხარდაჭერასა და საზოგადოებრივ დონებზე უფრო ფართო ცვლილებების მიღწევაში.

53. სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ მხარდაჭერის სერვისები, დამხმარე მონაცემები და ტექნოლოგიები თემზე დაფუძნებული სერვისების მეშვეობით. ეს ითვალისწინებს არამხოლოდ სათანადო სერვისების მიწოდებას იმ თემისთვის, სადაც პირები ცხოვრობენ, არამედ ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობას გადანაცვების მიღების პროცესში და აქტივობებში, რომლებიც უკავშირდება ამ სერვისების დიზაინსა და მიწოდებას, ასევე არსებული სოციალური ქსელებისა და სათემო რესურსების მხარდაჭერას. ამ მხრივ სათემო სერვისები იძლევა ადგილობრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობას, რომლის მიწოდებაც ხშირად უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვა ზომების შემთხვევაში. როდესაც სერვისი არ არის თემზე დაფუძნებული, შესაძლოა არსებობდეს სეგრეგაციის საფრთხე, ან მათ, ვისაც სერვისი სჭირდება, უჭირდეთ მისი მიღება. უფრო მეტიც, როდესაც სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით არის შექმნილი და ითვალისწინებს თემის საჭიროებებს, მათი ადეკვატურობა და ადაპტაციის უნარი გაზრდილია, რაც შედეგად იწვევს სერვისების სენსიტიურობას გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. მკვიდრი მოსახლეობის შემთხვევაში ამგვარი სერვისების გამოყენებამ შესაძლოა მათი ასიმილაციის რისკის თავიდან აცილება შეძლოს, რადგან მოხდება მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციფიური სერვისების მიწოდება.

54. როგორც წესი დაბალ და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში არ არსებობს მონაცემები დამხმარე მონაცემების, პერსონალური ასისტენტების და მხარდაჭერის სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა პერიოდულად მოახდინონ დამხმარე ხელსაწყოების და მხარდაჭერის სერვისების საჭიროების შეფასება, გადაჭრან დამხმარე მონაცემების, მხარდაჭერის სერვისებს ხელმისაწვდომობის და ამგვარი მხარდაჭერის ეფექტურობის პრობლემები.

## IV. შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიური პოლიტიკის ჩარჩოს დანერგვა

### A. ზოგადი საკითხები

55. ინკლუზიური პოლიტიკის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, რამაც მხედველობაში უნდა მიიღოს ხელმისაწვდომობის, დისკრიმინაციის აკრძალვისა და მხარდაჭერის სერვისების მოთხოვნები, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ მკაფიო პოლიტიკა შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად საზოგადოების ყველა სექტორში. ამ მიზნით მათ შესაძლოა შეიმუშაონ ეროვნული სტრატეგია ან სამუშაო გეგმა შებენიანი შესაძლებლობის თაობაზე. ეს ჩარჩო შესაძლოა ასევე ითვალისწინებდეს სხვა სპეციფიკურ სამოქმედო გეგმას დისკრიმინაციის აკრძალვის, ხელმისაწვდომობისა და მხარდაჭერის სერვისების თაობაზე.

56. ბევრ ქვეყანას უკვე აქვს დანერგილი შებენიანი შესაძლებლობასთან დაკავშირებული ამგვარი ჩარჩო. თუმცა, ეს პოლიტიკა ხშირად საკმარისად არ ფინანსდება, არ მოიცავს ინდიკატორებს ან/და არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას შებენიანი შესაძლებლობის მიმართ. უფრო მეტიც, მათი განვითარება და იმპლემენტაცია ხშირად დელეგირებულია შებენიანი შესაძლებლობის სახელმწიფო სააგენტოზე, რომელსაც აქვს მცირე რესურსები, ან ინსტიტუტებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჯანმრთელობის, შრომის ან სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე და არ უთმობენ ყურადღებას შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ინტერსექტორალურ განზომილებას.

57. სახელმწიფოებმა უნდა იმუშაონ ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ბევრ ქვეყანაში ადგილობრივი ხელისუფლება პირდაპირ პასუხისმგებელია მნიშვნელოვანი საჯარო პოლიტიკის ზომების იმპლემენტაციაზე განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საცხოვრებლის, დაგეგმვის, მშენებლობის და განვითარების საკითხებზე. ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებული ზომების არარსებობა უარყოფითად აისახება შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ცხოვრობს არახელსაყრელ, დაშორებულ ან სოფლის ტერიტორიებზე. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ხელისუფლების სათანადო დაფინანსება და ტექნიკური მხარდაჭერა მათი ფუნქციების შესრულებაში დასახმარებლად.

58. საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინკლუზიური პოლიტიკის ეროვნული პოლიტიკის დანერგვის მხარდაჭერაში.<sup>28</sup> სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო და ეფექტური ზომები საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის, რაც მოიცავს სამხრეთიდან სამხრეთით და სამკუთხა თანამშრომლობას შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან

<sup>28</sup> იხ. შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია, მუხლი 32 (1) (a).

პარტნიორობით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა ძირეულია იმისათვის, რომ ისინი განვითარების დახმარების როგორც აგენტები, ისე ბენეფიციარები იყვნენ. მდგრადი განვითარების მიზნების მიღება არის ბრწყინვალე შესაძლებლობა, რათა საერთაშორისო თანამშრომლობა იყოს ინკლუზიური და ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

59. ინკლუზიურ პოლიტიკაში ასევე აუცილებელია დაინერგოს გენდერული თანასწორობის ასპექტი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კაცები და ქალები მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიან სხვადასხვა ფორმის უგულვებელყოფას და დისკრიმინაციას. მოთხოვნები, რომელთაც მათ უყენებენ ოჯახში, სკოლაში, სამუშაო ადგილას და საზოგადოებაში მათი როლის შესახებ ასევე ძალიან განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ქვეყანამ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველყოფისთვის შეიმუშავა საკანონმდებლო ჩარჩო და ეროვნული გენდერული სამოქმედო გეგმები, მხოლოდ ცოტა მათგანს აქვს მიღებული კონკრეტული ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა სპეციალური საჭიროებების გადასაჭრელად, მათი მონაწილეობის გასაზრდელად და მათთვის ბარიერების მოსახსნელად.

## B. მეინსტრიმინგი

60. მეინსტრიმინგი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა განვითარების სვასხვადასხვა დასხვა სფეროებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინკლუზიისთვის. ზოგადად პოლიტიკის ყველა მიმართულება და პროგრამა რაც შეიძლება ინკლუზიური უნდა იყოს იმისათვის, რომ არ შეიქმნას და გამწვავდეს გარემოში არსებული ბარიერები, იქნება ეს ფიზიკური, ინფორმაციის, ინსტიტუციური, თუ დამოკიდებულების და ხელისუფლების ყველა დონეზე, ყველა სექტორში, უნდა გაერთიანდეს შეზღუდულ შესაძლებლობაზე ორიენტირებული მიდგომა. როგორც ადრე აღინიშნა, ამას შესაძლოა მოყვეს დისკრიმინაციის აკრძალვის, ხელმისაწვდომობის და მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფა. ძირითად სტრატეგიებს შესაძლოა მოყვეს პროგრამებს მიზნებისა და პროცესების მოდიფიკაცია იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა მონაწილეობა მიიღონ და ისარგებლონ მათგან.

61. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შესაძლოა ჰქონდეთ კონკრეტული საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება შეუძლებელია ინკლუზიური პროგრამების გარეშე, მაგრამ რომელთა შემსუბუქებაც შეიძლება შეზღუდულ შესაძლებლობაზე ორიენტირებული პროგრამებით. ამის მიუხედავად, რადგან შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა საჭიროებები ყველა სექტორს ეხება, ეს პროგრამები უნდა იყოს ინტეგრირებული, ყოვლის მომცველი და კარგად კოორდინირებული და არ უნდა არსებობდეს ad hoc მიდგომა. ერთია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამხმარე მონაცემების მიწოდება, თუმცა, მათთვის განათლების, წყლის და სანიტარული პირების უზრუნველყოფა, დასაქმება, ჯანდაცვა, ტრანსპორტირება, ხელისუფლებაში მონაწილეობა, მართლმსაჯულება და სხვა სფეროებში მათი ჩართვა შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის ყოველმხრივი მეინსტრიმინგის გარეშე.

62. იგივე ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვაზე ხელისუფლების უფრო სპეციალიზირებულ ან ტექნიკურ სფეროებში, როგორცაა ენერჯია, სოფლის მეურნეობა, ან კლიმატის ცვლილება. ეს თავდაპირველად შესაძლოა ცხადად არ იკვეთებოდეს, მაგრამ აღნიშნულის გაკეთება მნიშვნელოვანია. აღნიშნულ სფეროებში პოლიტიკა და პროგრამები პასუხობს ადამიანთა საჭიროებებს და შესაძლოა ახდენდეს გავლენას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებაზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მაგ. კლიმატის ცვლილებების შედეგებს განსხვავებულად და უფრო მძაფრად განიცდიან, ვიდრე შეზღუდვის არმქონე პირები. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ყველა პოლიტიკის მიმართულებისა და პროგრამის შედეგების ანალიზი, რათა მოხდეს მათი ინკლუზიურობის უზრუნველყოფა.

### C. მონაწილეობა

63. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ყველაზე უკეთ იციან, თუ რა ბარიერებს აწყდებიან თავიანთ მდგომარეობაში და რა გავლენას ახდენს ეს ბარიერები მათ ცხოვრებაზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-4 (3) მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა კონსულტაციები უნდა მიიღონ და აქტიურად ჩართონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაბამისი ორგანიზაციები, მათ შორის ბავშვები, კანონებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რომლებიც მათთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. აღნიშნული ეხება ყველა პოლიტიკასა და პროგრამას, იქნება ეს შეზღუდულ შესაძლებლობაზე ორიენტირებული თუ მეინსტრიმული, რასაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა ჰქონდეს მათ ცხოვრებაზე. აქედან გამომდინარე, სავალდებულოა მათი სრული ჩართვა პოლიტიკის ყველა მიმართულების და პროგრამის განვითარებაში, იმპლემენტაციაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. სპეციალურმა მომხსენებელმა შეიმუშავა თემატური ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადანაცვლების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებაზე, რაც ითვალისწინებს სპეციალურ მითითებებს იმაზე, თუ ეს ვალდებულება როგორ უნდა შესრულდეს (A/HRC/31/62).



64. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეფექტური და აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკის შემუშავების ყველა ფაზაში. ეს საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეპრეზენტატიულ ორგანიზაციებთან წინასწარ კონსულტაციებს და მათ ჩართვას, ვიდრე მოხდება პოლიტიკისა და პროგრამების მიღება. მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა იცოდნენ, რომ სერვის პროვაიდერებს შესაძლოა ჰქონდეთ ინტერესთა კონფლიქტი და ამ დროს უპირატესობა უნდა მიანიჭონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებს, რომლებსაც მართავენ თვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

65. წინასწარი კვლევები და პოლიტიკის ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან კონსულტაციებს, მათ ჩართულობას და მოიცავდეს შესაბამის მონაცემებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, გარემოს პოტენციური ბარიერების და ფასილიტატორების თაობაზე, რამაც შესაძლოა პოლიტიკის შედეგებზე იქონიოს გავლენა. პოლიტიკის ფორმულირების შესახებ წინადადებები ასევე მკვეთრად უნდა განსაზღვრავდეს, თუ როგორ იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა უზრუნველყოფილი. ნებისმიერი ფორუმი ან პოლიტიკის წინადადებების განხილვის პროცესი სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციები უნდა იყვნენ მონვეული მათში მონაწილეობის მისაღებად.

66. იმპლემენტაცია და შეფასება ასევე უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის მეშვეობით. უნდა მოხდეს ზომების მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო აპარატში და იმ კერძო კომპანიებში რეკრუტირებისთვის, რომელთაც სახელმწიფო უდებს ხელშეკრულებას. სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან პარტნიორობის შესაძლებლობა სერვისების მიწოდებისთვის, რათა აღნიშნულში წვლილი შეიტანონ თვით სერვისებით მოსარგებლეებმა, თუმცა სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულება სერვისის მიწოდების თაობაზე ივნიორირებული არ უნდა იყოს. მონიტორინგის და შეფასების ყველა სისტემა უნდა ითვალისწინებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობას პოლიტიკისა და პროგრამების ყველა დონეზე.

#### D. მონიტორინგი

67. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის ეროვნული სტრატეგიები და ჩართულობის გეგმები უნდა იყოს ყოვლისმომცველი, მოიცავდეს სხვადასხვა სფეროს და მკაფიოდ ითვალისწინებდეს, თუ სახელმწიფოს რა კუთხით და რა დროში აქვს მათი დანერგვის ვალდებულება. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანო, რომელიც ამგვარი სტრატეგიების ზედამხედველობაზე იქნება პასუხისმგებელი და რომელიც მოითხოვს და მიიღებს ანგარიშებს და სხვა შიდა ინფორმაციას სამინისტროებიდან, რათა მოახდინოს მათი მოქმედებების ეფექტური მონიტორინგი შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიური პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესში. სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ სათანადო რესურსები იმპლემენტაციის სხვადასხვა მანდატების მქონე სააგენტოებისთვის. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მიმართულებით უნდა განხილვებოდეს სახელმწიფოების ფოკალური პირები და საკოორდინაციო მექანიზმები კონვენციის 33- (1) მუხლის მიზნებისთვის.

68. ინკლუზიის ხელშეწყობი კანონების, პოლიტიკისა და რეგულაციების ეფექტური იმპლემენტაცია ასევე ითვალისწინებს აღსრულების ძლიერი მექანიზმების და არსებითი სანქციების არსებობას მათი შეუსრულებლობისთვის. აღსრულების მექანიზმები ორ დონეზე უნდა კონცენტრირდებოდეს. ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოს, რომელიც მეთვალყურეობს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის ეროვნულ სტრატეგიულ გეგმებს, უნდა ჰქონდეს გამოძიების დანყების და სანქციების შეფარდების უფლებამოსილება როგორც საჯარო, ისე კერძო დანესებულებებისთვის იმპლემენტაციის არარსებობის შეთხვევაში. აღნიშნული მოიცავს როგორც დამრღვევი ორგანოების მხოლოდ სიის გამოქვეყნებას, ისე დაჯარიმებას ან სახელმწიფო დაფინანსების ჩამორთმევას. მეორე მხრივ, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თავად უნდა ჰქონდეთ პროცედურის წამოწყების შესაძლებლობა, როდესაც მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ ან კერძო დანესებულებებმა არ უზრუნველყვეს შესაბამისი პოლიტიკის ან პროგრამის მიღება ან შესრულება.

69. დაბოლოს, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან საჩივრების განხილვის მექანიზმები შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რათა მათ შეძლონ საჩივრების შეტანა კანონებისა და რეგულაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში. შესაბამისად, უნდა მოხდეს ამ საჩივრების სათანადო განხილვა და სანქციების გამოყენება. ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს და კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის, დაცვისა და ხელშეწყობის დამოუკიდებელ მექანიზმებს შეუძლიათ ძირითადი როლის შესრულება პოლიტიკის და პროგრამების იმპლემენტაციის შესწავლისა და გამოკვლევის პროცესში (33 (2) მუხლის შესაბამისად). მათ ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სამართლებრივი საშუალებების ხელმისაწვდომობაში.

ნაჩვენებია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტოები შესაძლოა ასევე იყოს ეფექტური მექანიზმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევის გასასაჩივრებლად.

## E. ბიუჯეტის შემუშავება

70. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სექტორული ბიუჯეტის გამოყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირების ინკლუზიის სტრატეგიების და გეგმების შესაბამისად და უნდა მოახდინონ საჯარო ხარჯების მონიტორინგი. პირველ რიგში სამინისტროები არიან პასუხისმგებელი შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სპეციალური ხარჯებისთვის. ზოგიერთმა სახელმწიფომ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურის ბიუჯეტში გამოყო განსაზღვრული თანხები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სპეციალური ინიციატივების დაფინანსებისთვის.<sup>29</sup> ეს სქემები უზრუნველყოფს როგორც სერვისის მოთხოვნას, ისე მიწოდებას და უზრუნველყოფს ამ პროგრამების მზარდ ინკლუზიურობას. მეორე - სექტორული ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს ინდიკატორებს იმის გასაზომად, თუ ზოგად ბიუჯეტში როგორ არის გათვალისწინებული მიზნები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიას უწყობს ხელს. ეფექტურობისთვის ამ ზომებს უნდა მოყვებოდეს ფინანსური ოფიცრების ტრენინგი და მათთვის მითითებების მიცემა.

71. უნდა მოხდეს ყველა დანახარჯის მონიტორინგი იმისათვის, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა იყოს დაცული შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ. საჯარო ფინანსები არ უნდა იხარჯებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციისა და მათი გარიყვის შესანარჩუნებლად (მაგ. ინსტიტუციების მშენებლობა). სახელმწიფო ბიუჯეტისა და დანახარჯების შესახებ ანგარიშების განხილვა უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, რათა მოხდეს ისეთი დანახარჯის იდენტიფიცირება, რაც არ ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას, იმისათვის რომ საჯარო რესურსების გაფლანგვა ან არასაკმარისი გამოყენება იქნეს თავიდან აცილებული. აღნიშნული ანგარიშისთვის მონოდებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ რესურსების განაწილებაზე დამატებით

<sup>29</sup> მაგ. ფილიპინებმა ყოველწლიურ ბიუჯეტში სპეციალურად გამოყო თანხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ჩინეთში და ტაილანდში დასაქმების კვოტების დაუცველობის გამო გადახდილი ჯარიმების თანხა ემატება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების თანხას.

უარყოფით გავლენას ახდენს კორუფცია სახელმწიფო ინსტიტუტებში და სერვის პროვაიდერებში, ასევე შესყიდვების ხარვეზიანი პროცედურები.

#### F. მონაცემთა შეგროვება

72. სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ინდიკატორების შექმნის დროში განწერილი სისტემა, რაც მოიცავს მდგრადი განვითარების მიზნებში მოცემულ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ინდიკატორებს და ყველა ინდიკატორის დანაწევრება უნდა მოხდეს „ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის” საფუძველზე. ამასთანავე, სახელმწიფოებს შესაძლოა ესაჭიროებოდეთ ეროვნული ინდიკატორების შექმნა იმისათვის, რომ კონკრეტული ქვეყნის კონტექსტთან დაკავშირებული სპეციალური მიზნებისა და პრობლემების გადაჭრა მოხდეს. ამგვარი ინდიკატორების შესაქმნელად სახელმწიფოებმა უნდა დაანაწევრონ მონაცემები შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის 31-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს შეაგროვონ სტატისტიკა და მონაცემები, რათა მათ მიეცეთ პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის შესაძლებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის.

73. მოკლე ექვსი შეკითხვა შეზღუდულ შესაძლებლობაზე, რომელიც შემუშავა ვაშინგტონის ჯგუფმა შეზღუდული შესაძლებლობის სტატისტიკის თაობაზე, არის კარგად დაცდილი მეთოდი ეროვნულ კვლევებში და მოსახლეობის აღწერაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების იდენტიფიცირებისთვის, საერთაშორისო შედარებითი მეთოდის საფუძველზე. ეროვნული კვლევების კითხვარისთვის გარკვეული კითხვების დამატება (მაგ. გამოკითხვა ოჯახის შემოსავლისა და დანახარჯის თაობაზე, სამუშაო ძალის, დემოგრაფიული და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კვლევები) საშუალებას იძლევა მოხდეს მონაცემების დანაწევრება, რაც საჭიროა საჯარო პოლიტიკისა და ასევე მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების მონიტორინგისთვის. ვაშინგტონის ჯგუფთან ერთად გაეროს ბავშვთა ფონდს აქვს განვითარებული კონკრეტული შეკითხვები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და პრომის საერთაშორისო ორგანიზაციას შემუშავებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შესახებ მოდული სამუშაო ძალის კვლევისთვის. შეზღუდულ შესაძლებლობაზე სიღრმისეული მონაცემების მოპოვების სხვა რელევანტური ინსტრუმენტია ჯანმოს სახელმძღვანელო შეზღუდული შესაძლებლობის კვლევის თაობაზე. ყველა ეს საშუალება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების ხელშესაწყობად, რათა შეაგროვონ დანაწევრებული მონაცემები შეზღუდულ შესაძლებლობებზე.

## G. მრავალფეროვნების ხელშეწყობა

74. იმისათვის, რომ ინკლუზიური პოლიტიკა რეალურად წარმატებული იყოს, საჭიროა კულტურული ცვლილება შეზღუდული შესაძლებლობის ადქმის თაობაზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა აღიქმებოდნენ არა როგორც ზიზღის ან ქველმოქმედების ობიექტები, არამედ როგორც ისეთივე უფლებების მქონენი, როგორც საზოგადოების ყველა სხვა წევრი. ინკლუზიური პოლიტიკის ჩარჩო აქედან გამომდინარე უნდა შეიცავდეს ძლიერ კომპონენტებს, რომლებიც ფოკუსირდება ცნობიერების ამაღლებაზე, სტერეოტიპებისა და ნეგატიური დამოკიდებულებების დამარცხებაზე შეზღუდული შესაძლებლობის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ. ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ზომები უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო ხელისუფლების პირების, საჯარო მოხელეების, კერძო სექტორისა და მედიის გადამზადებას, მულტიმედია კამპანიებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ სენსიტიური მასალის ინტეგრირებას.

75. უნდა გავრცელდეს ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, რაც ეხება კანონმდებლობას, პოლიტიკასა და რეგულაციებს, ინკლუზიისა და სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობის თაობაზე. კონვენციის მე-4 (1) (i) მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე პროფესიონალებისა და პერსონალის, მათ შორის საჯარო მოხელეებისა და სერვის პროვაიდერების ტრენინგი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის, მათი პრობლემებისა და საჭიროებების გადწყვეტის თაობაზე.

## V. დასკვნა და რეკომენდაციები

76. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე უთანასწორობა არათანაზომიერ გავლენას ახდენს, რაც სერიოზულ შედეგებს იწვევს ინდივიდების, ოჯახების, თემებისა და მთელი საზოგადოებისთვის. უთანასწორობის გადასალახად სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ეროვნული პოლიტიკა და პროგრამები პასუხობდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს და ხელი შეუწყონ წარმომადგენლობითი ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას პროგრამების და პოლიტიკის შემუშავებაში, იმპლემენტაციასა და შეფასებაში. ამ მიზნით საჭიროა ინკლუზიური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რაც

ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას, ხელმისაწვდომობას და მხარდაჭერის ზომების მიღებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. გაერომ და საერთაშორისო პარტნიორებმა უნდა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიური პოლიტიკის იმპლემენტაციაში, რაც ასევე ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვებასა და მონიტორინგს.

77. 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიღებით სახელმწიფოთა უმეტესობა მოახდენს თავისი ეროვნული პოლიტიკის გადასინჯვას მდგრადი განვითარების მიზნებისა და ნიშნულების მიღწევასთან მიმართებით. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სათანადო გათვალისწინება მოხდეს პოლიტიკის ყველა ზომასა და პროგრამაში, ასევე მოხდეს პოლიტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა და ინტერსექტორული თანამშრომლობა. „არც ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უგულებელყოფის პოლიტიკა“ მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფომ და სათანადო დაინტერესებულმა პირებმა ითანამშრომლონ ისეთი პოლიტიკისა და პროგრამების შექმნისა და იმპლემენტაციისთვის, რომლებიც ინკლუზიურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ.

78. სპეციალური მომხსენებელი შემდეგ რეკომენდაციებს აძლევს სახელმწიფოებს, რათა დაეხმაროს მათ ინკლუზიური პოლიტიკის განვითარებასა და დანერგვაში:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და საჭიროებების მენისტრიმინგი პოლიტიკის ყველა მიმართულებასა და პროგრამაში და სპეციალური პროგრამებისა და სერვისების უზრუნველყოფა, რომელთაც არ ფარავს მენისტრიმული პროგრამები;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველყოფა პოლიტიკის ყველა მიმართულების და პროგრამების შემუშავების, იმპლემენტაციისა და შეფასების დროს;

გ) პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, იმპლემენტაციისა და შეფასების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა;

დ) გენდერული ხედვის ინტეგრირება აღნიშნულ პოლიტიკასა და პროგრამებში, რაც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

ქალთა და გოგონათა მიმართ ინტერსექციური დისკრიმინაციის საკითხის გადაჭრას;

ე) პოლიტიკის მკაფიო ჩარჩოს შექმნა, რომელიც კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე ყველა ფორმის დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან თანასწორ და ეფექტურ სამართლებრივ დაცვას;

ვ) გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა ყველა პროგრამაში, სერვისსა და ინტერვენციაში. სახელმწიფო ორგანოებში დაფინანსების მყარი მექანიზმის შექმნა;

ზ) ხელმისაწვდომობის ყოვლისმომცველი პოლიტიკის შექმნა, რაც მოიცავს ხელმისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებსა და აღსრულების მექანიზმებს;

თ) პოლიტიკის ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობას დამხმარე ტექნოლოგიებსა და მხარდაჭერის სერვისებზე, რომლებიც უნდა არსებობდეს, იყოს ხელმისაწვდომი, სათანადო, ფინანსურად ხელმისაწვდომი და მათი მიწოდება ხდებოდეს თემზე დაფუძნებული მიდგომით;

ი) ღარიბი მოსახლეობისთვის დამხმარე ტექნოლოგიებზე და მხარდაჭერის სერვისებზე უფასო ხელმისაწვდომობა, როგორც სახელმწიფოს საყოველთაო ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემის ნაწილი;

კ) ინტერსექტორალური პოლიტიკის ჩარჩოს შექმნა ყველა სექტორში და ხელისუფლებს ყველა დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის მიზნით და დამხმარე მონაცემების და მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობისთვის სპეციალური სამოქმედო გეგმების დანერგვის მხედველობაში მიღება;

ლ) შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ინდიკატორების შემუშავება, რათა მოხდეს პოლიტიკისა და პროგრამების ზეგავლენის სათანადო შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე;


მ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატისტიკის თაობაზე ვაშინგტონის ჯგუფის მიერ შემუშავებული მოკლე კითხვარის შეტანა ეროვნული კვლევებისა და მოსახლეობის აღწერის კითხვარში, რათა მოხდეს დანაწევრებული მონაცემების შეგროვება შეზღუდულ შესაძლებლობაზე;

ბ) ყველა საჯარო უწყებისთვის თანხის გამოყოფა, რათა მოხდეს პოლიტიკის, პროგრამებისა და სერვისების თანდათანობითი შემუშავების, ხელმისაწვდომობის და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;

გ) საერთაშორისო თანამშრომლობის აქტორებისთვის მონოდება, რომ მხარი დაუჭირონ შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიურ პოლიტიკას და პროგრამებს და თავი შეიკავონ ისეთი პოლიტიკის, პროგრამისა თუ პრაქტიკის მხარდაჭერისგან, რომელიც არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს.

79. სპეციალური მომხსენებელი ასევე რეკომენდაციას აძლევს გაეროს, რომ მან ყველა თავისი პროგრამის, ფონდისა და სპეციალიზებული სააგენტოს მეშვეობით სათანადო ყურადღება დაუთმოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს; და რომ მან მოახდინოს შესაძლებლობების გაძლიერება და ხელი შეუწყოს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნებში გაეროს წარმომადგენლობებს შორის შიდა სინერჯის გაძლიერებისა და ერთგვაროვნების უზრუნველყოფისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიური პოლიტიკის იმპლემენტაციაში სახელმწიფოთა მხარდაჭერის პროცესში.





შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა  
სამართლებრივი ადვოკატირების პროექტი

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის  
კედლას ქ. 7, 0154, თბილისი, საქართველო  
(+995 32) 2 35 66 09  
[info@disability.ge](mailto:info@disability.ge)  
[www.disability.ge](http://www.disability.ge)